



# ბიულეტენი

მართლწევის სულიერობისა და კულტურის ცენტრის  
საზოგადო მაცხოვნილობის ინიციატივის

№5 (71) ნოემბერი-დეკემბერი 2014 წელი




სრულიად საქანოებულის ყვითელი და შარიალი დღე  
ყნძღვები და ყნკანები ღმია ॥

## სიღვამის სესიონი და სიცვარულით აღსაღვენად



## გამარჯვებულობრივი ართმაჩვენებელი სიმპოზიუმი



# უნიკანიშვილის მემკვიდრეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისში, მარჯანიშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1864 წელს აგებული წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია აღმართული. მან წელს ახალი ელფერი შეიძინა - შეკეთდა სახურავი, გაიწმინდა და შეიღება ჭერი და კედლები, კეთილმოენ ეზო. 6 დეკემბერს ტაძრის 150 წლისთავი აღინიშნა და საღმრთო ლიტურგია აღესრულა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნიდესმა და უნეტარესმა ილია II მრევლს დღესასწაული მიუღოცა და ტაძარში შეკრებილებს ქართულ და რუსულ ენებზე მიმართა. უნიდესმა აღინიშნა, რომ ჩვენ დღეს ვდღესასწაულობრივ ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის დაარსების 150 წლისთავს. მისივე თქმით, აქ მოღვაწეობდნენ დიდი მამები და პატრიარქმა ისურვა მათი მადლით, მათი ლოცვებით ღმერთმა დაიფაროს ყოველი ადამიანი.

„სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

დებო და ძმებო, ყველას გილოცავთ ამ წმიდა ტაძრის დაარსების 150 წლისთავს. აქ უღვაწია ისეთ დიდ მამებს, როგორებიც იყვნენ მამა ვიტალი, მეუფე ზინობი, მამა ანდრინიკე და მრავალი სხვა. იმ პერიოდში სასულიერო პირებს რუსეთში დევნიდნენ, ამიტომ მათ საქართველოს მოაშურეს, სადაც თავს უფრო მშვიდად გრძნობდნენ. მათი ლოცვით, ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო!

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ბერად აღკვეცა სწორედ ამ წმიდა ტაძარში მოხდა. 1957 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნიდესი და უნეტარესი მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით, მეუფე ზინობმა აღმკვეცა და სახელად ილია მინოდა. ეს იყო როული პერიოდი. საქართველოშიც გრძელდებოდა რელიგიის, სულიერების დევნა, მაგრამ უფალი მუდამ გვმოარელობდა; იგი დღესაც გვიფარავს და სიმშვიდესა და კეთილდღეობას გვანიჭებს.

შევთხოვ უფალს, რომ წმიდა ბერების ლოცვით ღმერთმა დაამშვიდოს ჩვენი ცხოვრება და საქართ-

ველოსა და რუსეთს მორის ურთიერთობა მოაგვაროს.“ - ბრძანა უნიდესმა ქადაგებისას. მან ორი სასულიერო პირი დააჯილდოვა: დეკანოზი გიორგი ბურდეინი - მიტრის ტარების უფლებით, ხოლო მღვდელი ნიკოლოზ გივიშვილი-ამილახვარი - ოქროს ჯვრით და აღიყვანა დეკანოზის ხარისხში.

წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამდღვარი დეკანოზი ბიძინა (გუნია) - „დღეს წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარი აღნიშნავს დიდი მთავრის ალექსანდრე ნეველის გარდაცვალებიდან 750 წლისთავს. ასევე, ეს წელი ჩვენთვის საზეიმოა - ტაძრის აშენებიდან 150-ე წელი გახლავთ. ვულოცავ სრულიად საქართველოს ამ უდიდეს დღესასწაულს და შევავედრებ წმ. ალექსანდრე ნეველს და ყველა წმიდანს საქართველოს გაერთიანებას, მშვიდობას ჩვენს ქვეყანაში და დალოცვას ჩვენი შვილებისა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტაძარში მსახურება ულმერთობისა და დევნის პერიოდშიც არ შეწყვეტილა. აქ თავშესაფარი პჰოვეს მე-20 საუკუნის კეთილმორ-



## წმუნებებმა.

ღვთის წებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ოოცვა-კურთხევით გასულ წელს ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორი წმ. ნინოს ხსენების დღეს თბილისში დიდი სინმინდე ჩამობრძანდა - წმ. კეთილმორწმუნე მთავრის ალექსანდრე ნეველის წმ. ნანილები, რომლებიც ამ ტაძარშია დავანებული.

შევთხოვთ წმ. ალექსანდრეს და გვნამს, რომ იგი შეისმენს ჩვენს ვეძრებას და დაეხმარება საქართველოს დაკარგული მიწების დაბრუნებაში. და ისევე, როგორც თქვენ, მჯერა, რომ წმ. ნანილთა ჩამობრძანებით წმ. ალექსანდრე როგორც არასდროს, შეგვეწვევა ურთიერთობათა მოწესრიგებაში და დაგვეხმარება ყველას ღვთის წების აღსრულებაში“

## სიღვარის სახლი და დაცვა აღსაღვარებელი

ნეტავ რატომაა, რომ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი, სასიკოცხლოდ უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა პოლიტიკოსთა ხელშია? ამ საკითხებს რატომ უნდა წყვეტდნენ ერთეულები და არა ჩვეულებრივი ადამიანები, უფრო სწორედ, კეთილი წების ადამიანები? რატომ ვფიქრობ ასე? აირატომ. უკვე რამდენი წელია, წლებია „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში“ ქალბატონი

სვეტლანა ქეცბას ძალისხმევით იმართება აფხაზეთიდან დევნილთა შეხვედრები, საღამოები... აქ იყრიბებიან არა მარტო აფხაზეთელები, არამედ თბილისელი საზოგადოებაც, ძალიან ცნობილი, ან ნაკლებ ცნობილი ადამიანები, ნიჭიერი ახალგაზრდობა... საუბრობენ, ერთმანეთის ჭირვარამს იზიარებენ, სულს ითბობენ. ამას თან ახლავს კონცერტები, მოკრძალებული სუფრა. და ეს

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

ყველაფერი მიმდინარეობს სიყვარულით აღსავსე გარემოში. ყველანი უგებენ ერთმანეთს, თანხმობა სუფეს, კონფლიქტური საკითხების წამოჭრის შემთხვევაშიც კი მოთმინებით უსმენენ ერთმანეთს, ერთობლივ აზრს იოლად აგნებენ და თანხმდებიან...

სწორედ ასეთი კიდევ ერთი შესანიშნავი საღამო გაიმართა 2014 წ. 21 ნოემბერს, ანუ მაშინ, როდესაც მომდევნო დღეს აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხა-

მანეთი, უყვართ საქართველო, სამშობლო... იქ შეკრებილი აფხაზები — შერვაშიძები, ანჩაბაძეები, ემუხვარები ... და ქართველობაც მეგობრობას მიელტვიან, იმ ტრადიციის ერთგული არიან, რომელმაც ამ დრომდე მოგვიყვანა. ახსოვთ დრო, როდესაც დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია წერდა შესანიშნავ რომანს „მთვარის მოტაცება“ და თვალწინ გადაგვიშლიდა თარაშისა და თამარის სიყვარულის ლამაზ ლეგენდას, როცა ამ წარმტაც ამბავს მუსიკას უსადაგებდა

ჩამწვდომად უმდერიათ, რომ მყისვე მაგნიტოფირზე ჩაუწერიათ და მერე რესტორნებსა თუ ოჯახებში, სოხუმსა თუ სოფლებში ამ ჩანაწერს ახმოვანებდნენ თურმე თვალზე ცრემლმომდგარი აფხაზები. ასე აფხაზებსაც არ უმდერიათ ეს ჩვენი სიმძლერაო. რარიგ სიმბოლური იყო ეს მოგონება...

საღამოს ამშვენებდა ნიჭიერი ხელოვანის, ვალერი ჯობავას ნახელავის გამოფენა. ხელოვნების თითოეულ ნიმუშში ცოცხლობს აფხაზეთის, ზღვისა, ლტოლვილი-სადმი სიყვარული და უზომო ნოსტალგია... ზღვის ნიუარაში, ზღვის კენჭში, ქვაში ამეტყველებული „ფიროსმანი“ და „მუზა“, „დევნილი ქალი ბაშვით“ და „მოაზროვნე“, „დედას ბურები“ და „ადამი და ევა“ თუ სხვა თვალს იტაცებს თავისი სიმშვენიერით, ხელოვანის ფაქტი ისტატობით, უსაზღვრო ფანტაზიის უნარით.

საღამოს მონაწილეებმა საუკეთესო საჩურად გაიყოლეს არქიმანდრიოტ ადამის (ვახტანგ ახალაძე) ცხოვრებისეული სიბრძნით, ქრისტიანული სიყვარულით დატვირთული ლექსები ავტორისეული კითხვით. ამაღლვებელი იყო ახალგაზრდა პოეტ ჭაბუკი ქოავას ლექსი, „ზღვისპირა პალმას ჩამოტყდატოტი“, გიორგი ბალახაშვილმა არტისტიზმითა და წრფელი მღელვარებით რომ წაგვიკითხა, ისევე, როგორც საკუთარი ლექსი „შორენა“.

ხოლო მთელი საღამოს რეზიუმედ, სიმბოლურ დასკვნად აღიქვაყველამ ელგუჯა გვაზავას ლექსის სიტყვები: „ჩემი სამშობლო საქართველოა, აფხაზეთია აკვანი ჩემი“. დიახ! ქართველებსა და აფხაზებს მარადჟამიერ ისტორიულ თანაცხოვრებასთან ერთად სიმღერაც, მუსიკაც, ლექსიც გვაკავშირებს, გვადულაბებს და ისევ ამან, სულიერებამ, ხელოვნებამ, მუსიკამ, ლექსიმა და არა ორიოდე ადამიანის ხელმოწერილმა დოკუმენტმა უნდა გაგვამთლიანოს, აღადგინოს ტყვიებითა და ნაღმებით ჩალენილი ჩვენი შემაერთებელი სიდები! ამას გულისხმობდა ქალბატონი სვეტლანა ქეცბას მიერ წარმოთქმული სიტყვა, საღამოს წინ რომ წაემძღვარა, ამას წატრობდა თითოეული იქ შეკრებილი ადამიანი.

**რუსუდაც ქუთათელაძე**



ჯინბამ ხელი მოუწერა ვლადიმერ პუტინს, რუსეთის პრეზიდენტს — ხელშეკრულებაზე, რომელმაც მოსახლეობაში დიდი გულისტკივილი დაპატიჟირდა, ანუ ორადორმა ადამიანმა გადაწყვიტა მთელი სახელმწიფოს, ხალხის ბედი, გადაწყვიტა ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, მისი სურვილის გაუთვალისწინებლად...

აი, „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში “თავმოყრილი ადამიანების ხელში რომ ყოფილიყო ამ ხელშეკრულების ბედი, საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა. ასეთ მოკრძალებულ, ტკბილ სუფრას რომ შემოსხდომოდა მთელი ქართველობა და მთელი აფხაზობა, მტრად მოკიდებული ადამიანებიც კი, საკითხი სხვაგვარად გადაწყვდებოდა და, რაც მთავრია, ორივე მხარე კმაყოფილი იქნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ცენტრის თანამშრომლებს უყვართ ერთ-

ჩინებული ქართველი კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი თავის იპერაში „მთვარის მოტაცება“, სადაც ერთიმეორეს შეუხმატკბილა ქართული და აფხაზური მუსიკის თავისებურებანი, როგორც ნიმუში ორი ხალხის შეხმატკბილებული თანაცხოვრებისა. ახალგაზრდა ნიჭიერი საოპერო მომღერლის, აღუდათოდუას შშვენივრად შესრულებულმა თარაშის არიამ გაახსენა ელდარ გენაძეს „მთვარის მოტაცების“ სოხუმში დადგმის საღამო და წარმოდგენას მიყოლებული სუფრა, სადაც „გუდისა“ უმღერია მეგობარ ანზორ შომახიასთან ერთად. გვიამბო, თუ რარიგ წარმატებული იყო ამ იპერიდან ფრაგმენტის — „ვარადოს“ შესრულება თამაზ ლაფერამზილთან ერთად, როგორ მოიხიბლა მთელი აფხაზობა მათი ხალხური სიმღერით, რომელიც ისე გულძი-

# პუშუნებილობა ურთისახოვნობის სიმარტი

ბავშვები ის უძვირფასესი განძია, რომელიც უფალ-მა გვიბოძა. მათ განსაკუთრებული სითბო და სიყვარული სჭირდებათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ რაღაც პრობლემები ექმნებათ ჯანმრთელობის მხრივ. როდე-საც მათ იმედიან, გაცისკროვნებულ თვალებს ხედავ, ქვეყნად ყველაფერი გავიწყდება და გსურს, რაც შეიძლება მეტი მისცე, გაულამაზო ცხოვრება. სწორედ ამ გრძნობით იყო განპირობებული მ.ნ. 21 ნოემბერს „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ მიერ მოწყობილი ღონისძიება იაშვილის სახელობის კლინიკაში ლევკემით დაავადებული ბავშვებისათვის. ცენტრის ინიციატივით მათ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრ „თეთრი ტალღას“ მსახიობები ესტუმრნენ. წარმოდგენილი იყო ფრაგმენტები სპექტაკლებიდან „ციცქანა იას დღეობა“ და „ჩვენი ეზო“, წაუკითხეს პატარებს ლექსები. მარტყოფის ღვთაების ტაძრის წინამდღვარმა ბენიამინმა (ბელქანიამ) დალოცა და აზიარა პატარები. შემდეგ მოძღვარმა



და ცენტრის თანამშრომლებმა ისინი ხატებით დაასაჩუქრეს. საჩუქრები გადასცეს ბავშვებს მსახიობებმაც.

გვჯერა, ამ დღეს მოგვრილი სიხარული კარგა ხანს გაჰყვებათ კლინიკის პატარა პაციენტებს, რომლებიც, უფლის წყალობით, სულ მაღლე გამოჯანმრთელდებიან.

## აფხაზები და ქავე

დღეს, როდესაც საქართველოს უმცვენიერები, სისხლხორცეული კუთხის, აფხაზეთის ანექსია გრძელდება, თბილისში, „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი“ ინარჩუნებს და სულს უბრავს აფხაზურ ენგადს — სულიერებას, რომელიც დევნილობაში მყოფ აფხაზობას შეუნაჩრუნებია და რომლის გარეშეც არ არსებობს არა-ამცუ ქართველი და აფხაზი, არამედ საზოგადოდ — ერი. განა რაა ერი, თუ არა ისტორიული მეხსიერება, კულტურა და ურთიერთისიყვარული, ერთ პატარა მინის ნაგლეჯზე სხვადასხვა გუნება-განწყობის ადამიანებში თანაარსებობის, ერთობის აუცილებლობას რომ განაპირობება...

„აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა“ შესანიშნავ ტრადიციას დაუდო სათავე — იგი თავისი მოკრძალებული შესაძლებლობებით თავს უყრის ხოლმე დევნილობაში მყოფ შემოქმედებით, სამეცნიერო საზოგადოებას, რომელთა მენტალობაში ყველაზე მეტადაა დავანებული მთავარი — ის კულტურული ფასეულობები, რომლებიც აფხაზეთიდან წამოუდიათ და, მიუხედავად უმძიმესი ათლეულებისა, მაინც სიყვარულითა და რუდუნებით შემოუნახავთ შთამომავლობისათვის. ესაა საღამოები, სადაც თავის ბავშვობას, ეზო-კარს, უმშვენიერები აფხაზეთის ბუნებას,

მეგობრებს, ღირსეულ ადამიანებს ისხენებენ, ერთმანეთსაც თავს ახსენებენ. მოგონებებს აფხაზეთზე, პატივისუცემისა და სიყვარულის ურთიერთგაზიარებებს მუსიკალური ნომრები ალამაზებს და ამშვენებს... იმ მცირე, ორ-სამ საათში, ეს ტკივილნარევი, სითბოთი სავსე სალონური საღამოები რომ გრძელდება, თავს პატარა აფხაზურ ოაზისში იგრძნობთ, სადაც არც ომია, არც შუღლი და არც ბოლმა...

როგორც უკვე აღვნიშნე, საღამოს ყოველთვის ახლავს მცირე კონცერტი. აյ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი, მუსიკისმცოდნე, საოცრად კულტურული, განათლებული და პოეტური ადამიანი ქალბატონი სვეტლანა ქეცბა ყოველთვის საინტერესო, გემოვნებიან პროგრამას სთავაზობს მსმენელს.

ამჯერად საღამოს საკონცერტო ნაწილი გახსნა უცხოეთში მოღვანე შესანიშნავმა მუსიკოსმა, პიანისტმა ელისო ასათიანმა. იგი მოღვანეობდა ესპანეთში, როგორც სოლისტი და კონცერტმასტერი. ამ ამპლუაში ელისო არაერთი საერთაშორისო კოკალური კონკურსის ლაურეატია: ეს-პანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, პორტუგალიაში. 1995 წელს მან სწავლა გააგრძელა ჰამბურგის მუსიკისა

და თეატრის უმაღლეს სასწავლებელში, პარალელურად დაამთავრა ჰამბურგის უნივერსიტეტის გერმანისტიკისა და მუსიკის მეცნიერების ფაკულტეტები. მიღებული აქვს არაერთი პრიზი, მათ შორის 2002-2004 წწ. რიხარდ ვაგნერის ასოციაციის სტიპენდია, აგრეთვე მიწვეული იყო ბაიროითის ფესტივალზე სოლო კონცერტით. არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მთავრმნელობითი მოღვანეობა. მას აქვს შესანიშნავი, დახვერილი თარგმანები: თეოფილ გოტიე, მატილდა ვეზენდოკი, პეტრარკა, ფრიდრიხ ნიცშე, ადალბერტ ფონ შამისო, რიხარდ ვაგნერი, ფერენც ლისტი და სხვ. რომ არა მისი პოეტური ნიჭი (როგორც ვიცი, ელისო თვითონაც წერს ლექსებს), პოეზიის მისეული თარგმანები ასეთი მაღალი დონისა ვერ იქნებოდა. ლისტის „რობერტ შუმანის“ ელისო-სეული თარგმანის ნაწყვეტი დაიბეჭდა კიდეც ჟურნალ „მუსიკაში“.

ამჯერად მუსიკოსმა მსმენელს შესთავაზა შოპენის ექსპრომტები (№1 თხ. 29, As dur; №2 Fis dur, თხ. 36.). ალფროთოვანებული შეკრებილი საზოგადოება ითხოვდა ბისზე შესრულებას. პიანისტმა ბისზე შეასრულა ლისტის „სიყვარულის ოცნებები“. ელისო ასათიანმა მსმენელს რომან-

(გაგრძელება მე-6 ვგ.)

## (დასაწყისი მე-5 გვ.)

ტიკული მუსიკის განსხვავებული ინტერპრეტაცია შესთავაზა, გერმანული თავშეეკავებულობა, სიმკაცრე, მაგრამ, ამასთანავე, სიღრმე რომ ახლდა თან. მისი ფრაზირება და ღრმა ბეგრა მოკლებული იყო ზედმეტ რომანტიზაციას და სენტიმენტებს, თუმცა ემოცია შესრულებას ნამდვილად არ აკლდა.

შოპენის ექსპრომტები ქართულმა კლასიკამ შეცვალა. დღეს უკვე ყველა-სათვის კარგად ცნობილმა, თბილისის იპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა, საერთაშორისო პრიზების მფლობელმა, მასესტრო რენატა სეკოტოს მასტერკლასგავლილმა სოპრანო სალომე ჯიქამ შეასრულა ლელას არია რევაზ ლალიძის ამავე სახელწოდების ოპერიდან. მას აკომპანირებას უნევდნენ ისეთი მუსიკოსები, როგორებიც არიან: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქ-ნი ნუნუ ჭელიძე და კლარინეტისტი დიმიტრი ბოქოლიშვილი. დიმიტრი ბოქოლიშვილი დღეს რომის, სანტა ჩერილიას აკადემიის საშემსრულებლო დაოსტატების უმაღლესი კურსის სტუდენტია. მისი პედაგოგია რომის აკადემიის პროფესიონალი, ცნობილი კლარინეტისტი ალექსანდრო კარბონარე. არცთუ დიდი ხნის წინ დიმიტრი ბოქოლიშვილი გახდა იტალიის ქალაქ პადოვას XII საერთაშორისო კონკურსის "Premio Citta di Padova"-ს პირველი პრემიის მფლობელი.

ქ-ნი ნუნუ ჭელიძე და დიმიტრი სალომეს ექსპრესიულ, ღრმად ემოციურ შესრულებას უზადო თანხლებას უნევდნენ — ეს იყო შესანიშნავი ანსამბლი. კლარინეტის დახვენილი ჟღერადობა სრულიად განსხვავებულ მომხიბლაობას სძენდა ყველასათვის უსაყვარლეს არიას. სალომეს შესრულებას განსაკუთრებული ემოცია სდევდა თან — მისი დედაც აფხაზეთიდან დევნილია. იქნებ ამანაც განაპირობა ის, რომ სამშობლოს სევდა და ტკივილი, რომელიც ამ არიაშია განსხულებული, სალომემ ისეთი ემოციით მოიტანა მსმენელამდე, რომ ცრემლის გარეშე ძნელი იყო მოსმენა, მით უფრო ამ გარემოში...

მერორე ნომრად სალომე ჯიქამ შეასრულა ოთარ თაქთაქიშვილის პოემა ვოკალური ციკლიდან გაღაკტიონ ტაბიძის ლექსებზე. დრამატიზმით, ტრაგიზმით აღსაცე ეს შესანიშნავი რომანსი, ისევე, როგორც მთელი ციკლი, მრავალი კონცეპტუალურ-ემოციური თუ ტექნიკური პრობლემის წინაშე აყენებს მომღერალს, რის სრულყოფილად გადმოცემას და მსმენელამდე სწორად მიტანას, უდავოდ, მაღა-

ლი პროფესიონალიზმი ესაჭიროება. სალომემ ამჯერადაც მძლავრი ემოცია აღძრა მსმენელში.

ნუნუ ჭელიძის აკომპანემენტით დიმიტრი ბოქოლიშვილმა შეასრულა, აგრეთვე, საკონცერტო ფანტაზია „რიგოლეტოს“ თემებზე. ტრანსკრიპცია სპეციალურად დიმიტრისათვის შეუქმნია ლუიჯი ბასის. ასეთი ოსტატობით, მუსიკალობით შესრულებულმა ვერდის მელოდიებმა, არაჩვეულებრივად გაისულერეს. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ დიმიტრიმ ნანარმების მხოლოდ ფრაგმენტი შეასრულა.

საკონცერტო ნაწილის ბოლოს, სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა მანანა ბერულავამ ქარ-

ასათიანის შესრულებით გამოწვეულმა ემოციამ გიორგის, აკროსტიხის სალექსო ფორმით, ექსპრომტიც კი დააწერინაა, რომელშიც სახელი ელისონა დაშიფრული:

**ე-გ თითები, ჩემო კარგო, როგორც ქრიზანთემები,**

**ლ-ისტს და შოპენს აცოცხლებენ, პარტიტურებს შუბერტის...**

**ი-ცი? შენი თვალებიდან ტიტანებს რომ შევებით,**

**ს-აუცარი სიმშვიდით და აღტაცებით ვუსმენდით.**

**მ-ლიმპოდან გესალმები, თუმც პარნასის მჯვიდრი ვარ,**

**ე-ულ ერთს გეტყვი: Ich Liebe და ჩემს მუზებთან მივდივარ!**

ეს ნამდვილად იყო ამ პოეტურის



თულ პოპულარულ მელოდიებზე აგებული საფორტეპიანო კომპოზიცია შესთავაზა დამსწრეთ.

ეს სალონური საღამო გახსნა და დახურა აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდამ გიორგი ბალახაშვილმა. სევდა მშობლიური კუთხის დაკარგვისა დაჰურება მასაც და მის ლექსებსაც,

რომლებიც მან ნაიკითხა: ერთი მიძღვნილი იყო 90-იანი შავ-ბენელი წლებისადმი, ხოლო მეორე რიჩარდ ბახის გახმაურებული მოთხოვნის „თოლია ჯონათან ლივინგსტონის“ შთაბეჭიდილებით დაუწერია და ყოფითობასა და ყოველდღიურობაზე ამაღლების, მასისათვის განსხვავებულის მიუღებლობის, სულიერი სრულყოფის, თავისუფლების თემებს ეძღვნება და იმას, რომ ამის პოტენცია ყველა ჩვენგანში დევს. აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა პოეტის ამ ნანარმებითა და მასში დაშიფრული თემებით გატაცება არა მგონია, შემთხვევითი იყოს... შეხვედრის დასასრულს კი ელისონ

საღამოს პოეტური კოდა.

ჩემი წერილი მინდა დავასრულო ქალბატონ ადა მარშანიას სიტყვებით, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქალბატონ სვეტლანა ქეცბას, ამ მშვენიერი საღამოს ყველა ორგანიზატორს, მონაწილეს და აღნიშნა:

„ყველა დევნილობაში მყოფი, ვინც „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში“ მოდის, სულიერად უკეთესად გრძნობს თავს.... ჩვენ აქ ერთმანეთს ვხვდებით, ზოგჯერ ვეცნობით ერთმანეთს... სამწუხაროდ, ვერა და ვერ მოხდა ჩვენი გაერთიანება ერთი ფრაზის გარშემო და ამიტომაც ვართ ჩვენ დევნილობაში 21 წელი!.. როგორც ებრაელები ამბობდნენ, ვიდრე არ დაბრუნდნენ ისრაელში — „იერუსალიმში შეხვედრამდე“, ჩვენც უნდა ვთქვათ — „სოხუმში შეხვედრამდე“ მანამ, სანამ იქ არ დავბრუნდნედებით. ამ შეხვედრებს კი შეიძლება დავარქვათ — „სოხუმში შეხვედრამდე!“...

**მზია ჯაფარიძე**

## თედო რეხვიაშვილის პერსონალური გამოფენა ქარვაცლაში

რამდენიმე წლის წინ რუსთაველის საზოგადოების დარბაზში გაგრიდან დევნილი მოზარდის თედო რეხვიაშვილის ნახატები გამოიფინა, რომლის ხელშემყობი იყო მეუფე დანიელი (დათუაშვილი) და აფაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბა. მხატვარი მაშინ მე-9 თუ მე-10 კლასის მოსწავლე იყო, მაგრამ მის შემოქმედებაში უკვე იგრძნობოდა ის მუხტი, რომელიც შემდეგ დიდ ხელოვნებად იქცევა. მნახველები განსაუთორებით შეირჩა აკვარელით შესრულებულმა ნახატმა „სახლი, რომელიც მეღის“. ეს იყო ხელისგულზე დატეული მშობლიური კერის მონატრება და ტაძარი - უფლის იმედი, საოცრად ღრმა და გულშიჩამნვდომი.

მას შემდეგ წლები გავიდა და ახლა, 3 დეკემბერს, ქარვასლას საგამოფენო დარბაზში თედო რეხვიაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე ნარმოდგენილი ნამუშევრები აღმოსავლური ფილოსოფიის კონცეფციის საერთო სერიაშია გაერთიანებული და 2012-2013 წელსაა შექმნილი.

**თედო რეხვიაშვილი:** - „პირველად 4 წლისამ დავხატე, მერე ვსწავლობდი ათწლედში, რომლის დასრულების შემდეგაც აკადემიაში ჩავაბარე დაზგური გრაფიკის ფაკულტეტზე. უკვე მაგისტრატურაც დავამთავრე. გამოფენებში პატარაობიდან ვიღებ მონაწილეობას, თუმცა ეს პირველი პერსონალური და სერიოზული გამოფენაა. რაც შეეხება მიმდინარეობას, ამ კონკრეტულ ნამუშევრებს ექსპრესიულ აბსტრაქციის მივაკუთვნებდი. თვითონ ნახატები ერთი კონცეფციით - აღმოსავლური ფილოსოფიის, კერძოდ კი ჩინური ფი-

ლოსოფიის მოტივებზეა შექმნილი“.

სამხატვრო აკადემიის პროფესორი გოგი წერეთელი მიიჩნევს, რომ თედო ის მხატვარია, რომელიც არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით იტყვის თავის სიტყვას:

- „ქართულ კულტურას და ქართულ გრაფიკას თედოს სახით დიდი ოსტატი შეეძინა და ამას იგრძნობს საქართველოც და მე მგონია, უცხოეთიც. დღევანდელი ქართული მხატვრობისთვის ეს პერსონალური გამოფენა რაღაც ახლის დასაწყისია. თედოს 4 წელია ვიწონბ - 2 წელი ბაკალავრიატზე ვასნავლიდი, ორიც - მაგისტრატურაზე. ვხედავდი, ამ ხნის განმავლობაში როგორ განვითარდა როგორც ხელოვანი. ახლა, გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ის ჩამოყალიბებული მხატვარია, რომელმაც იცის, რა უნდა, ფიქრობს, აანალიზებს, კარგი ტექნიკა აქვს და ზუსტად „ჩავლებს“ ხოლმე დეტალებს. თედოს უპირატესობა ისაა, რომ მან ყველაფერი ეტაპობრივად გაიარა - ხატავდა აკადემიურად, დროთა განმავლობაში კი, როცა ხელობა დახვენა, იპოვა ის სტილი, რომელშიც ზუსტად გამოხატავს სათქმელს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ თედო ჩემი მოსწავლეა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ის დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარია, რომელსაც წინ დიდი მომავალი აქვს და ეს ყველაფერი ამ გამოფენიდან იწყება.“

დათა გულუას პოეზია მთლიანად გათანგულია გამოუწყობი სევდით, ტკივილით, ხანმოკლე მინიერი ცხოვრების ავის-მომასწავებელი ეპილოგით:

„მე გუშინ ისევ დავყიდვე ოთახის ფალებს, ეს სიყვილია, მასხენცება ოფაზი რევა, სარკის მინაზე აორთქლებულს ფუძეზე სახეს, ჩემს პოლესიას, მეგორებო, მოჰყევით ნელა!“

ან კიდევ:

„მე მოვიყალო სული ნამების ტყვით და ჩემს კურნზე შეფი ვართვით ეფინა თოვლი, სუსხის ლაშქარი მე ამისხეფრით ლაშეთა ნიხლოთ, ნახე, დეფაო, სიკვილი მორჩის მანფილის ქროლვით.“

მეტაფორათა როგორი ჩუქურთმაა ამ სულისშემძრელ

(გაგრძელება მე-8 გვ.)



თავისი ხელოვნება.

- ნიუ-იორკში, ხელოვნების აკადემიაში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას, მინდა digital art-ს დავეუფლო. გადასახადი ძალიან ძვირია და მომიწევს ვიბრძოლო სტიპენდიასთვის. ამ ეტაპზე ვამზადებ პორტფელიოს, რომლის მიხედვითაც განიხილება ჩემი კანდიდატურა ამ უნივერსიტეტში, ამბობს ახალგაზრდა მხატვარი.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირის წევრები, „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ ნარმომადებნები.

ნარმატებებს ვუსურვებთ ახალგაზრდა ხელოვანს იმ ძნელ და რთულ გზაზე, რომლის გავლაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

## უზოდებელი ნიჭის მონაცემები

„ქარი ჭერის, ქარი ჭერის, ქარი ჭერის, ფოთლები მიქერიან ქარდაქარ. ხეთა რიგს, ხეთა ჭარს რკალად ხრის. სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ.“

გალაკტიონის პოეზიის ამ ერთ-ერთი შედევრის ფრაგმენტის წარმდლვარებას ჩემი წერილის გარეგნულ სამეცაულად ნუ ჩამითვლით. ნურც გადაჭარბებულად მოგეჩვენებათ, თუ კი დიდ გალაკტიონსა და ბედისნერის დაუნდობელი ვერდიეტით იმქვეყნურ სამყაროში ნაადრევად გარდასულ ახალგაზრდა მგოსან დათა გულუას შორის პარალელს გავავლებ. განგებამ მხოლოდ თვრამეტი წელი განუსაზღვრა ჩემი გვერდით ყოფნა და ამ მცირე მონაცემთა სრულიად გამორჩეული, განუმეორებელი ფერი შემატა ჭეშმარიტი ქართული პოეზის გოლგოთისკენ მიმავალ გზას, რომლის უსასრულო მწვერვალებს ცოტა თუ შესწედა.

(მე-7 გვერდიდან)

## სტრიქონებში!

დათას ამქვეყნიურ ყოფას მხოლოდ პოეზია ასულდგ-  
მულებდა - ნატიფი, მგრძნობიარე, ბაირონისებური სიმღე-  
გით, ბარათაშვილისული ქედუხრელობით გამორჩეული, ზე-  
ნაარმა ესაღენ უხვად რომ დააფრჩვია:

„ეს ფარჩება ჩემი შემფეგ  
გულის ნარჩენად.  
ნალურული მწუხაორება მზის ფამფეგს.  
შენ დამრჩები, ჩემო სულო, სარჩენად,  
შენ დამრჩები, პოეზიაც, ჩემი შემფეგ.  
რა ფაგოჩერთა, რა ფაგოჩერთა თაორებს,  
ნუთუ სულზე უსულმართი ფამფნდა?!”  
თორებ საფლავს თვითონ უამის აორთქლებს,  
მთვარია პოეზიის ბრწყნა.“

თვრამეტი წელი ერთი ამისუნთქვაა, ცხოვრების აღმარ-  
თზე ბორიძიეთ სიარულს რომ იწყებ, მაგრამ ეს რიგით მოკვ-  
დავთათვის. დათა გულუასთან დაიმსხვრა კანონზომიერებათა  
ეს პრიმიტიული რკალი. ამ ასაკისთვის დარეტიანებამდე შეგ-  
ძრავთ მისი განსწავლულობა, არაორდინალური ხედვა, აზ-  
როვების ფილოსოფიური ჭვრების მასტებაბები და როგორც  
მარინე ჯიქიამ ბრძანა, მის ლექსებს შარავანდედით მოსაცა  
კოლეური ნარმომავლობის სიდიადე, განუმეორებელი მეგრუ-  
ლი სიმღერების ანდამატი. მისი თითოეული ლექსი ამაღლებუ-  
ლი მუსიკა:

„აჭანურულან ჩემი რითერი,  
სიფრანიელე კვლავ ამოშრალა,  
ფა ვოწ, ლამევ, ისევ ფითონერი,  
შენ ხომ სინელე გეფენ შრალად.  
ახალი გლოვა მოფრინდა გრილი  
და თორებს ზერა მოვარდა ზვავი,  
შე გამეურნა უხვე ლიმილი,  
ჩემი საკუმლის ნინ, მტკრიან ქალაქზე,  
შეეგ ჩამოისწო სხივენით თავი.

ეს ხომ მუზებთან პირდაპირი ალიანსია უკვდავებასთან  
ნიღაუარი პოეტისა.

დათა გულუა პოეზიის მეუფეთა კოპორტის თანასწორია,  
ასე მიიჩნევს ძირძველი ქართული კუთხის აფხაზთა ღირ-  
სეული შვილი გენო კალანდია. ახალგაზრდა პოეტმა გიორგი  
ბალახაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ გარემოე-  
ბას, რომ დათამ დროს გაუსწრო და დაბატოვარით - უებრო  
პოეტური ნიმუშებით გაამდიდრა არამარტო საქართველოს,  
არამედ თვალუწვდენელი სამყაროს სულიერი საგანძურო.

სიმბოლურია და კანონზომერიც აფხაზთის სულიერები-  
სა და კულტურის ცენტრის არჩევანი, დათა გულუას შემოქ-  
მედებისადმი მიძღვნილი შეხვედრა - „მას 30 წელი შეუსრულ-  
დებოდა“ - გალაკტიონ ტაბიძის ბინა-მუზეუმში გაემართათ.  
კამერულმა, მყუდრო გარემომ უფრო მეტად გამოკვეთა ღვ-  
თიური ნიჭის მონატრებით გამოხვეული თანმდევი სევდა და  
იმავლორიულად, სიამაყე, რომ ჩვენ შორის დათა გულუას  
სახით ცოცხლობს თვითონაბადი ტალანტი, რაც ხელთუქმნელ  
ძეგლად გადაეცემა თაობიდან თაობას.

შეხვედრა ტაქტით, სითბოთი და დიდ ნიჭიერებასთან  
შეხვედრის განცდით მიჰყავდა ცნობილ საზოგადო მოღვაწე  
სვეტლანა ქეცბას.

დათა გულუას ფენომენი მისი გარდაცვალების შემდეგ  
უფრო გამობრნებინდა. მისი პოეზია ითარგმნა დანიაში, შეე-  
დეთში, ესტრინეტში, ბულგარეთსა და რუსეთში. ქართულიდან  
რუსულად დათას ლექსები მაღალპროფესიულად თარგმნა გუ-  
გული ქებურიამ. თარგმნის პროცესში განცდილი ასოციაციე-  
ბი მან დამისწრე საზოგადოებას გაანდო.

2009 წლის აგვისტოში, მწერალთა და მთარგმნელთა  
საერთაშორისო ფესტივალზე დათა გულუას მიენიჭა ოქროს  
მედალი - „სიტყვიერების დიდოსტატის“. ამ საოცარი ფაქტით  
კულატერია ნათქეამი.

დათა გულუა არა მხოლოდ განსაკუთრებული მოვლე-  
ნაა პოეზიამი, იგი ღრმად მოაზროვნე, ფართო გაქანების  
პიროვნებაა:



„ცხოვრება ყვავილივითაა, მისგან სასარგებლო, სააამი  
ნექტარი კი არ ჟონავს, შენ თვითონ უნდა მიაგნო და ამისწო-  
ვო...“

გიყვარდეთ ერთმანეთის სულები და გაუფრთხილდით მათ  
ისე, როგორც უფრთხილდებით თქვენს სხეულს. სულს თავი-  
სი სისხლი გააჩინა და თუ მისგან დაიცალა ადამიანი, უშალვე  
ლეშად გადაიცევა...“

ეს ფრაგმენტი დათა გულუას პროზაული თხზულებიდანაა:  
„ნერილი თახატოლებს“ - როგორი დიდსულოვანი და არა დი-  
დაქტიური შეგონება!

შეხვედრის მიმდინარეობას ხაბლი შემატა ელდინო სალა-  
რაძის შთაგონებულმა მხატვრულმა კითხვამ. აზროვნებისა  
და ემოციურ ნაკადის სინთეზმა ახლებურად განგვაცდევინა  
დათა გულუას სწორულვარი ლექსების სილრმდ და სილამაზე.

შეხვედრა დაამშვენა ჩინებული ლირიკის მზია ხე-  
თაგურის გამოსვლამ. გთავაზობთ მის მიერ ჩვეული ოსტატო-  
ბით წაკითხულ დათა გულუასადამი მიძღვნილ საკუთარ ლექსა:

„უ შეი ერთეულ შენ გაგილიმენს,

შეგმისუბუქებს ფიქრებს ცვირთიანს,

გულს სიამაყით ცუ გაილვავებ -

ცველა ლიმილი ფრონებითა!

თუ მითიოებით არიგებ ხოჭქას

და შეი აზრი ცესზე ჰერიტით -

შენ სამუშაომაც ფარჩებ შინაცა,

მიმთოებელი - ფრონებითა!

თუ შეკახე მეგორის ლალაჭს -

როგა არიად ერთი ფლიტი,

მაგ ურნმინორმთ მზეს ცუ შებლალავ, -

ფლიტის ზიდის ფრონებითა!

თუ შეიყვარე, თუ გააღმიეროთ,

სხვა ცველულური შენოვის მითია, -

თვას მომაცვალში ცუ გაიმეტებ,

ეგ აღზევებას ფრონებითა!

თუ ამასლებს, თუ გამამართლეს

და მზე ოვალებში წესწლად შინთია,

ცუ შეგურულებით ჩემი აომართი,

რაფაგან აღმართო დროებითა!

ცუ აარიფრ თავს შეფინერას,

როგა სირფელის ფლერებს გითვლიან,

თუ ფეხის შეფეხა შეპრეფე მწვერვალს,

მარს სიკაფილი ფრონებითა!

დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა პოეტის მა-

მამ ბაჟურ გულუამ. ძნელია მძიმე ხევდრთან შეგუება, მაგრამ მშობლების მუდმივ სიმძიმეს იმის შეგ-

რძნება, რომ მათი ვაჟი უკვდავების ბინადარობა.

„წრიელ ოთასს მე ქარის პლაშით

სიზმონის წილინდროს დავალებით და ფარჩებით

ფარჩებით შემოსული გუნდი.

გვნაში, რომ დათა გულუას პოეზიას, როგორც ასე სამა-

რადისო სასულეულები, არ მოაკლდება მქუსარე ტაში.

**ვაჟა პიგუა**

# ქარტყოფის ლვთაების მონასტერი

მარტყოფის ლვთაების მონასტერი მდებარეობს სოფელ მარტყოფის მახლობლად, თბილისიდან აღმოსავლეთით, 25-27 კილომეტრზე, ტყით დაფარულ იალნოს ქედზე. ზეპირი გადმოცემისა და წერილობითი წყაროების თანახმად ამ ადგილს (მარტყოფს) VI საუკუნეში აკრიანი, "ქვიანი ადგილი", რქმევია. ლვთაების მონასტრის გუჯარის თანახმად აქ ტაძარი ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს აუშენებია და ეპისკოპოსიც დაუსავამს. VI ს. I ხახვარში აკრიანის მოებში დამკვიდრდა საქართველოში მოსული 13 ასურელი მამიდან ერთ-ერთი, მამა ანტონი. იგი განცალკევებით, დაუყდებულ ცხოვრებას ეწეოდა, რის გამოც მას მარტყოფის უწინდეს, ხოლო ადგილმა, შესაბამისად, სახელწოდება მარტყოფი მიიღო. აკრიანის მოებში დამკვიდრებული მამა ანტონი მასთან დროდადრო მისული ირმების რძით იკვებებოდა. XI ს. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის გადმოცემით, ერთ დღეს ირმები დამფრთხალნი მისულან მამა ანტონთან, რომელთა შორის ერთი ნუკრი დაჭრილი ყოფილა. ირმებს პერი იქ მიუყვანით, სადაც მთავარი ნადიობდა. მთავარს ვინაობა უკითხავს, რახუც პასუხად პერის გაშევრილი ხელი მიუღია - მამა ანტონს ენა არ ესმოდა და ამიტომ ხელით ანიშნა იმ ადგილზე სადაც ცხოვრობდა. გაპარაზებულ მთავარს მისთვის განვდილი ხელის მოკვეთა უბრძანებია, რომლის დროსაც მომხდარა სასწაული. ბრძანების აღსრულებისას მემანთეს ხელი გახმობა, რომელიც მამა ანტონს ისევ გაუცოცხლებია. მთავარს სასწაულმოქმედი პერისთვის უთქვამს, რაც გინდა ითხოვე და მოგეცესო. მამა ანტონმა მარილი ითხოვა ირმებისთვის და შემდეგ თავის საყუდელს დაბრუნებულა. მამა ანტონს მალე გაუვარდა სახელი, როგორც სასწაულმოქმედს, ამიტომ მის გარშემო თავი მოიყარეს მორჩილებმა, რასაც მოვინანებით მარტყოფის სამონასტრო ცხოვრების აღორძინება მოჰყვა.

XI ს-ში, როცა კვირიკე კახთა მეფემ კახეთის სამეფო საერისთავოებად დაყო, მარტყოფი რუსთავში მჯდომ ერისთავს დაექვემდებარა. ეკლესიურად კი რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსო გახდა. მონასტერი მუდამ განსაკუთრებული უფლებებით სარებლობდა. 1265 ნ. როცა ოქროს ურდოს შპრძნებელ ძერქა ყავნის ლაშქრობას ქალაქი რუსთავიც შეწირა, საეპისკოპოსო კათედრალი სწორედ მარტყოფში გადავიდა. მონასტერი, ისევ როგორც არაერთი სხვა ადგილი, ვერ გადაურჩა თემურ-ლევნიჩისა აოხრება. 1395 ნ. მისი შემოსევის დროს დაიკარგა ტაძრში დასვენებული მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რომელიც მამა ანტონმა ედესიდან ჩამოაბრძანა. XV ს. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, კახეთის მეფე გიორგი I-მა (1466-1476 წნ.) ქეყნის ცენტრალიზაციის მიზნით კახეთის საერისთავოები გააუქმა და მათ ნაცვლად მთელი კახეთი ოთხ სადროშოდ გაყო, რომელთა სათავემი არა ერისთავები, არამედ ეპისკოპოსები ჩააყენა. მათ შორის მეორე სადროშოსა და იმავე დროს ჯარის მარცხენა ფლანგის წინამდლობად დანიშნულ იქნა რუსთველი ეპისკოპოსის, რომლის სასპასტერში შედიოდა გარე-კახეთი ქიზიყამდე და მარტყოფ - საგურამო, რეზიდენცია კი მარტყოფის მონასტერში იყო. მედროშე ეპისკოპოსები სადროშოებს მოურავების სამუალებით მართავდნენ. ასეთივე მოურავი ჰყავდა მარტყოფსაც. ამდენად, მარტყოფი ერთგვარ პოლიტიკურ ცენტრად იქცა. მისი მნიშვნელობა განისაზღვრებოდა მისი მდებარეობითაც, რომელიც თავდაცვისათვის ხელსაყრელ ადგილს გულისხმობდა. XVIII ს. დასაწყისში თურქთა ტყვეობიდან გაეცეული კახეთის მეფე კონსტანტინე მამად-ყული ხანი ჯერ მარტყოფს აფარებს თავს, ხოლო შემდეგ, აქედან თან მიჰყავს რა სახლეულობა, თელავს გადადის. მისმა ასეთმა ნაბიჯმა შედეგად თურქთა თარეში მოიტანა. 1723 ნ. ისინი მარტყოფს შესივრნენ, მოსახლეობა დაარბის, ტაძარი გაძარცვეს და ხატები შემუსრეს. ამავე XVIII ს. დასაწყისში, კახეთის გამგებლის დავით იმამყული-ხანის ბრძანებით ღვ-

თაების მონასტრისთვის უფლება მიუციათ პატარძეულიდან მარტყოფამდის სამღებროები აეშენებინა, რაც, მეცნიერთა აზრით, იგივე საბაჟო უნდა ყოფილიყო.

საეპისკოპოსო ცენტრის მდგომარეობა მარტყოფმა XIX ს. დასაწყისამდე შეინარჩუნა. მაგრამ ლეკიანობის, თუ სხვა ჯურის მტრის შემოსევების შედეგად მარტყოფის მიდამოები მოოხრდა და გაუდაბურდა. 1811 წლისთვის რუსთავის საეპისკოპოსოს სამწყსო, რომლის ცენტრად ისევ მარტყოფი რჩებოდა, მხოლოდ 8 სოფელსა და ერთ თავადს მოითვლიდა, რუსთავის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოეფალიის გაუქმების შემდეგ რუსთავის ეპარქიაც გაუქმდა. რაც შეეხება მონასტერს, იგი მოქმედებდა 1934 წლამდე. მარტყოფის მონასტერში ცხოვრობდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II (საძაგლიშვილი), რომელიც 1918 წ. 26 აგვისტოს სწორედ აქ, თავის სენაკში ვერაგულად მოკლეს. კომუნისტების მიერ გაუქმებულ მონასტერში XX ს. 50-60-იან წლებში უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი გახსნეს, შემდეგ კი 31-იან ხაზნის დასასვენებელ სახლად გადააქციეს.

მონასტერში სამონასტრო ცხოვრება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილიონ II-ის ლოცვა-კურთხველით 1989 წ. აღდგა. ამჟამად იქ აფხაზეთის ეპარქიაა თავშეფარებული.

სამონასტრო კომპლექსი რამდენიმე ტაძრის, სამრეკლოს, საბერების და სხვა ნაგებობებისგან შედგება. მონასტრის ტაძრები ღვთავების, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის და მამა ანტონის სახელობისაა. მათგან უმთავრესია "ხელთუქმნელი ხატის" გუმბათიანი ტაძარი, რომლის თავდაპირველი ნაგებობა უფრო დიდი ზომის ყოფილა, მის ნანგრევებზე კი შემდეგ უფრო მომცრო ზომის აუგიათ. ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში მამა ანტონის საფლავია. ამავე ტაძრის ძირში საძვალეა შემორჩენილი. მონასტერში მოხატული ყოფილა მეორე, "ლვთაების" ტაძარი, რომელიც ეგზარქოსობის დროს განადგურებულა. ტაძრების აღმოსავლეთით დგას სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც 1629 წ. აუგია კალატოზ ახვერდას. სამრეკლო XVII საუკუნის ნინოწმინდის, ურბნისის და ანჩისხატის სამრეკლოთა მსგავსი ნაგებობაა. მონასტრიდან აღმოსავლეთით, მთავარი კათედრალი და მამა ანტონის სვეტია, რომლის ნანგრევებზე უკანასკნელ დროს ახლიდან აშენდა კოშკი. ეს ის სვეტია, სადაც პირველ წლის მანძილზე დაფიქტებულ ცხოვრებას ეწოდა მამა ანტონი. სამონასტრო კომპლექსი განახლებულა XVII-XVIII სს. მიჯნაზე. ტაძარის ხელასალი რესტავრაცია ჩატარდა 1848-1855 წნ. ნორიოლი ივანე არჯევანიძის თაოსნობით. ხელთუქმნელი ხატის სახლობის ტაძარში მდებარეობს მამა ანტონის საფლავი.

ამ ხატის ისტორია ქალაქ ედესის მთავარს ავგაროზს უკავშირდება. იგი იესომ სახეზე მიღებით დაწერა ზენარზე და კეთრით დაავადებულ მთავარს გაუგზავნა განსაკურნებლად. ავგაროზის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილიშვილმა ხატის ნარწყმედა განიზიარდა. ხატის დასაცავად ქალაქი ედესის ეპისკოპოსმა იგი კანდელანთებულ საცავში დამალა და დაცვისათვის წინიდან ამოყორა. დიდი ხნის შემდეგ, როცა ქალაქის მტრი შეესა, ქალაქის ეპისკოპოსმა ევლავიობისა, ღვთისმშობლის მითითებით, მოიძია ხატის საცავი და ხატი კათედრალი. ხატის დასაცავად ქალაქი ედესის ეპისკოპოსმა იგი კანდელანთებულ საცავში დამალა და დაცვისათვის წინიდან ამოყორა. დიდი ხნის შემდეგ, როცა ქალაქის მტრი შეესა, ქალაქის ეპისკოპოსმა ევლავიობისა, ღვთისმშობლის მითითებით, მოიძია ხატის საცავი და ხატი კათედრალი. იმ კეცზე კი, რომელიც ხატის დასაცავად ქალაქი ედესის ეპისკოპოსმა იგი კანდელანთებულ საცავში დამალა და დაცვისათვის წინიდან ამოყორა. დიდი ხნის შემდეგ, როცა ქალაქის მტრი შეესა, ქალაქის ეპისკოპოსმა ევლავიობისა, ღვთისმშობლის მითითებით, მოიძია ხატის საცავი და ხატი კათედრალი. ხატის დასაცავად ქალაქი ედესის ეპისკოპოსმა იგი კანდელანთებულ საცავში დამალა და დაცვისათვის წინიდან ამოყორა. დიდი ხნის შემდეგ, როცა ქალაქის მტრი შეესა, ქალაქის ეპისკოპოსმა ევლავიობისა, ღვთისმშობლის მითითებით, მოიძია ხატის საცავი და ხატი კათედრალი. იმ კეცზე კი, რომელიც ხატის დასაცავად გამოიყენეს, უკვე ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება იყო გადასული და ისეთივე ძალას ასხივებდა, როგორსაც თავად უფლების ხატი. სწორედ ეს ასლი ჩამოაბრძანა საქართველოში მამა ანტონმა და მარტყოფში, თავის სავანებში დაასცენებით. ხელთუქმნელი ხატის სახლის ტაძარში მდებარებული ხატი, რომელიც შეხების შემდეგ და დაცვისათვის წინიდან ამოყორა. დიდი ხნის შემდეგ, როცა ქალაქის მტრი შეესა, ქალაქის ეპისკოპოსმა ევლავიობისა, ღვთისმშობლის მითითებით, მოიძია ხატის საცავი და ხატი კათედრალი. იმ კეცზე კი, რომელიც ხატის დასაცავად გამოიყენეს, უკვე ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება იყო გადასული და ისეთივე ძალას ასხივებდა, როგორსაც თავად უფლების ხატი. სწორედ ეს ასლი ჩამოაბრძანა საქართველოში მამა ანტონმა და მარტყოფში, თავის სავანებში დაასცენებით. ხელთუქმნელი ხატის სახლის ტაძარში მდებარებული ხატი, რომელიც შეხების შემდეგ მეფე განკურნებულა.

**ქ. დილავაზვილის მიხედვით**

## საქართველოს კალენდარი

- 1 იანვარი (ხუთშ.)** — ღირ. მამის გიორგი მწერლის და მისი ძმის საპას ხსენება (XII.);
- 2 იანვარი (პარ.)** — ქრისტეშობის წინადღესაწაული  
— მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (1076.);  
— მართალ იოანე კრონშტადტელის ხსენება (1908.);
- 3 იანვარი (შაბ.)** — წმ. მამის მაკარი მმართხველის (ხახულის მონასტრის წინამძღვრის) ხსენება (XI.).  
— მრავალვნებულისა ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (1811.);
- 4 იანვარი, სულთმოფენობიდან 30-ე, ქრისტეშობის წინა, წმიდა მამათა კვირა**  
— ღიდმოწამე ანასტასიას ხსენება (3046.);  
— სამეუფო უამნობა (წირვას არ უჩენს).
- 6 იანვარი (სამშ.), ქრისტეშობის წინა დღე. წმ. ბასილი დიდის წირვა.**
- 7 იანვარი (ოთხშ.)** — ქრისტეშობა! წმ. იოანე ოქროპირის წირვა.  
(ხსნილია ყოვლითურთ 17 იანვრის ჩათვლით);
- 8 იანვარი (ხუთშ.)** — კრება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა;
- 9 იანვარი (პარ.)** — ღირ. სტეფანე ხირსელის ხსენება (VII.);
- 10 იანვარი (შაბ.)** — ორთა ბევრთა (20000) მონამეთა (ნიკომედიას დამწვართა)  
ხსენება (3026.);
- 11 იანვარი, სულთმოფენობიდან 31-ე, ქრისტეშობის შემდგომი კვირა**  
— მართალ იოსებ დამწინდველის, დავით მეფის, ფსალმუნთა მთქმელისა  
და უფლის ძმის, იაკობის ხსენება.  
— ათოთხმეტ ათასთა ჩვილთა მონამეთა, ჰეროდეს მიერ ბეთლემს  
მოწყვეტილთა ხსენება (II.);  
— ქრისტეშობის დღესასაწაულის წარზარცანა;
- 13 იანვარი (სამშ.)** — ღირ. საბიანას (სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრის) ხსენება;
- 14 იანვარი (ოთხშ.)** — წმ. ბასილი დიდის (კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის) ხსენება (379 წ.);  
— ღირ. სერაფიმე საროველის ხსენება (1883 წ.);
- 15 იანვარი (ხუთშ.)**
- 16 იანვარი (პარ.). სამეუფო უამნები.** — წმ. ექვთიმე ღმრთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენება (1953 წ.);
- 17 იანვარი (შაბ.)** — ღირ. შიომღვიმელ მოღვაწეთა ხსენება;  
— კრება წმიდათა სამოცდათთა მოციქულთა (II.);
- 18 იანვარი, სულთმოფენობიდან 32-ე კვირა. ნათლისლების წინა დღე.**  
— წმ. იოანე ოქროპირის წირვა. მარხვა;  
— ნათლისლება! (ღმრთისგანცხადება)
- დიდი აიაზმა (წყლის კურთხევა).** წმ. ბასილი დიდის წირვა.  
— კრება წმიდასა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა  
და ნათლისმცემელისა იოანესი;
- 21 იანვარი (ოთხშ.)** — დიდმოწამე აბო ტფილელის ხსენება (7866.);
- 23 იანვარი (პარ.)** — წმ. გრიგოლის, ნოსელ ეპისკოპოსის ხსენება (3946.);
- 24 იანვარი (შაბ.)** — ღირ. თეოდოსი დიდის ხსენება (5296.);
- 26 იანვარი (ორშ.)** — ნათლისლების დღესასაწაულის წარზავნა;
- 27 იანვარი (სამშ.)** — მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლების წმ. ნინოს ხსენება.  
**ნინობა!**
- 28 იანვარი (ოთხშ.)** — წმ. სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა შივნიელის ხსენება;
- 29 იანვარი (ხუთშ.)** — წმ. პეტრე მო.ციქულის პატიოსანთა ჯაჭვთა თაყვანისცემა;
- 30 იანვარი (პარ.)** — ღირ. ანტონი დიდის ხსენება (3566.);
- 31 იანვარი (შაბ.)** — ღირ. ეფრემ მცირის (ფილოსოფონის) ხსენება (11016.);  
— ღირ. ალექსი მღვდელმონაზონის (შუშანიას) ხსენება (19236.);  
— წმ. ათანასესი (3736.) და კირილეს (4446.)  
(ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა) ხსენება.

**1 თებერვალი, სულთმოფენობიდან 34-ე კვირა.**

- ღირ. ანტონ მარტყუფოველის ხსენება (VII.);  
— ღირ. მაკარი დიდის (მეგვიპტელის) ხსენება (390-3916.);

## ՀՕՔՏԱՑՄՈ ԽԵՋՈՅ



## ՀՊԱԿԱԿՄՈ ԵՐԺՈ ՁԻՆՑՈՂՅՈ




# ბიჭვინთის ღვთისმმოლის ხატის სახლობის გენერაციული ტაძარი



საქართველოს ბანკი  
**BAGAGE22**  
**GE59 BG00 0000 0844 5609 00**

ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ფალი